გენიალური ქართველი პოეტი, მოაზროვნე, ჰუმანისტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოცდამეშვიდე წელი № 220 (13604) | სამშაბათი, 27 სექტემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.



ШОТА РУСТАВЕЛИСІ ИУБИЛЕ
ГАДАИЦА САЧОВЕЛТАО-САХАЛХО
ДЕДЕСАСЕАУЛАД

ეროვნული ბიბლიოთეკა

ШОТА РУСТАВЕЛИ.
ბარელიეფი ი. ნიკოლაძისა.

მარად უკვდავი

სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი

შოთა რუსთაველი საქართველოსა, საქართველო კი ვეფხისტყაოსანი. ... ეს სიტყვები საუკეთესო ... გამოხატავენ ხალხის ფიქრებსა და ... ებს, რომლისთვისაც პოემა ჯერ ... ვ შორეულ საუკუნეებში გახდა საელი წიგნი, ნამდვილი მეგობარი და ... ველი სიხარულისა და მწუხარების ...

... ობს სიცოცხლესა ნაძარახსა სიკვ... სახელოვანი!", „ჟირსა შიგან გა... ება ,არე უნდა. ვით ქვეტკირსა!", ... ობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა ... ხვეჭელსა!"... ამ სიტყვებით მიდი... ქართველი საშობლოს დასაცავად, ... სიტყვები განამტკიცებდნენ სულიერ... ... ბას განსაცდელის ჟამს, ამ სიტ... ... ით მიდიოდა ქართველი სახელის ... ახვეჭად. ქართველი დედა აკვანშივე ... რგავდა შვილს რაინდობასა და დიდ... ოვნებას, ასწავლიდა მტრის სიძულ... ს, თავდადებას მეგობრისათვის, სი... ... ულისათვის და სხვადასხვა ერის ხა... ა ურთიერთგაგებისათვის. ასწავლი... ყოველივეს, რასაც შოთაგონებით ... ერა რუსთაველმა ჯერ კიდევ რე... ... ნსის გარიჟრაჟზე. ხალხმა ზეპირად ... ა პოემა, თაობიდან თაობაში გადა... ... და, რადგან მასში პოულობდა სა... ... ერ და საერთო-საკაცობრიო მისწ... ... ებათა გამოძახილს, მეგობრობის, ... ბისა და სიყვარულის უდიდეს საგა... ... ელს.

... ა განა მარტო ქართველი ხალხისა... ... ს არის რუსთაველის პოემა სიბრძ... ... და შოთაგონების წყარო. უკვე მე... ... ე საუკუნეა „ვეფხისტყაოსანს" ფარ... ... ე სწავლობენ მთელ მსოფლიოში. ... გმირები ნაცნობი და ახლობელი ... ენ მთელი პროგრესული კაცობ... ... ობისათვის. სავსებით სამართლიანად ... ბა დგას მსოფლიო კლასიკური ლი... ... ატურის ყველაზე თვალსაჩინო ქმნი... ... ებათა გვერდით.

... ღესაც „ვეფხისტყაოსანს" სიცოცხ... ... ს დამამკვიდრებელი პათოსი, პოემის ... ელი ჰუმანიზმი და ჰეროიკული სუ... ... ბეობა, პატრიოტიზმისა და ინტე... ... ციონალიზმის იდეები, რომლებსაც ... ... ტი უმღერს, ამაღლებული გრძნო... ... ბა კეთილშობილური იდეალები ან... ... ბელი და გასაგებია ყველა მშვიდო... ... მყოფარე ხალხისათვის, უნათესავე... ... მას ახალი ხაზოგადოების მშენებე... ... ს საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყა... ...

... ემთხვევითი რიდია, რომ პოეტის ... ... ილე გადაიქცა საყოველთაო-სახალ... ... დღესასწაულად, რომელსაც დიდი ... ... ვრულითა და პატივისცემით აღნიშ... ... ს ამ დღეებში მთელი პროგრესული ... ... ობრიობა. 25 სექტემბერს საქართვე... ... ს საგამოფენო დარბაზებსა და პავი... ... ონებში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ... ... ველისადმი მიძღვნილი გამოფე... ...

... ღეს კი, 26 სექტემბერს, რუსთაველის ... ... ლობის სახელმწიფო აკადემიური ... ... ტრის დარბაზში შეიკრიბნენ ჩვენი ... ... ველროვანი ქვეყნის მწერალთა ორ...

ТБИЛИСИ. 26 სექტემბერი. შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობათა გაერთიანებული პლენუმის სხდომა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ საუნივერსიტეტში ჩატარდა.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა ... ... ბ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარად უკვდავი

სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი

(გაგრძელება)

ხელოვნება მიაჩნია საბჭოთა ხალხის კომუნისტური აღზრდის დიად ძალად.

ყოველწლიურად მტკიცდება საბჭოთა ლიტერატურის კავშირი ხალხის ცხოვრებასთან.

საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები სულ უფრო მეტად ხდება ხალხთა უფროსი მასების კუთვნილება.

საბჭოთა ხალხს უყვარს, პატივს სცემს და ამაყობს თავისი მწერლებით, ისინი მიაჩნია თავისი საუკეთესო გრძნობების, ფიქრებისა და მისწრაფებების გამომხატველებად, საუკეთესო ზნეობრივი თვისებების აღმზრდელებად, ჩვენი დროის ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესული იდეების მქადაგებლებად.

სწორედ ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ დღეს, როდესაც აღვნიშნავთ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს, და კვლავ მივმართავთ „ვეფხისტყაოსანს“ — პოეზიის ამ მარგალიტს, — ჩვენ ვაცოცხლებთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას არა მარტო იმისათვის, რომ ჯერჯერობით ვცეთ პატივი მას, არამედ იმისათვის — და ეს ყველაზე მთავარია, — რომ ყველაფერი დიადი და უკვდავი, რაც ხალხს შეუქმნია საუკუნეების მანძილზე, თვით ხალხს უნათებდეს გზას კიდევ უფრო მშვენიერი და ნათელი მომავლისაკენ! »

დასასრულ ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ერთხელ კიდევ მოგესალმოთ გაერთიანებული პლენუმის მონაწილეთ და გისურვოთ წარმატებანი მუშაობაში.

დიე კიდევ უფრო აყვავდეს ჩვენი შშომლიური საბჭოთა ლიტერატურა — ხალხის დიდება და სიამაყე!

კიდევ უფრო განმტკიცდეს ლიტერატურის კავშირი ხალხის ცხოვრებასთან!

დიდება საბჭოთა მწერლებს, რომლებიც ეხმარებიან პარტიას ჩაუნერგოს ადამიანებს მაღალი მორალური თვისებები, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულება, ჩამოაყალიბოს კომუნიზმის შშენებლის სულიერი სახე!

ამოსანებება — „შოთა რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ წაკითხა სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. ს. ხიხონოვმა.

— „შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს დღეს გულითადად, ძალიან მოგესალმებით საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის პოეტები და მწერლები, — ამბობს იგი. ამ დღესასწაულზე მბურავალად მივესალმებით ჩვენს ძვირფას მეგობრებს, მსოფლიოს ყველა კონტინენტის წარმოგზავნილებს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებით შოთა რუსთაველის იუბილე აღინიშნება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში. მოწინავე კაცობრობა დიდად აფასებს ყოველ შემთხვევას, როცა ვლინდება ხალხთა მეგობრული, მშვიდობიანი ურთიერთობა კაცობრობის გენიალური წარმომადგენლების დღესასწაულებზე, წარმომადგენლებისა, რომლებიც გამობატავენ ყველა თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის საუკეთესო მისწრაფებებსა და ოცნებებს, ადამიანის ხასიათის საუკეთესო თვისებებს.

პოემა „ვეფხისტყაოსანი“ პოეტური გენიის სრულყოფილი ქმნილებაა. იგი შედის მსოფლიო კლასიკური პოეზიის უდიდეს ნაწარმოებთა საგანძურში. მის გვერდით დგას რუსული ლიტერატურის იმდროინდელი ძვირფასი ქმნილება „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჯერ კიდევ კიევის რუსეთის დროს არსებობდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოეზიის მაღლა დაამობილა „იგორის ლაშქრობის“ შთაგონებული ავტორი და შოთა რუსთაველი.

კაცობრიობის მეხსიერებამ შემოინახა უძველესი ეპოსები, ისეთი ნაწარმოებები, როგორიც არის „სიმღერა როლანდზე“, „ტრისტანი და იზოლდა“, „თქმულება ნიბელუნგებზე“, უძველესი აღმოსავლური ეპოსი.

ყველა ქვეყნის მეცნიერებმა და პოეტებმა დიდი მუშაობა გასწიეს მსოფლიოს მთელი პოეტური სიმდიდრის შესაცნობად. ადამიანებს, რომელთათვის ძვირფასია ხალხთა პროგრესი და მშვიდობიანი აყვავება, შეგნებული აქვთ, რომ საჭიროა საერთო შრომა მთელი კაცობრობის საუკეთესო მიღწევათა ათვისებისათვის. ჩვენ, პოეტები და მწერლები, ყოველნაირად ცდილობთ დავამყაროთ მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ესოდენ უწყობს ხელს ურთიერთგაგებას და მსოფლიო კულტურის განვითარებას.

შოთა რუსთაველის პოემაში ჩაქსოვილია ღრმა ინტერნაციონალური გრძნობები. მასში ცოცხლობს მგზნებარე პატრიოტიზმის სულისკვეთება, რომელიც დღესაც ამოძრავებს მთელ მოწინავე კაცობრობას. ეს პატრიოტიზმი უძლეველი ძალა იყო ფაშიზმთან ბრძოლის წლებში. იგი ნამდვილ ინტერნაციონალიზმად გადაიქცა და დღეს გამოიხატება ვიეტნამელ ხალხთან ძმური სოლიდარობით. ამ ხალხისადმი დახმარებით მის კეთილშობილურ ბრძოლაში დამპყრობთა წინააღმდეგ.

ჩვენ შფოთიან დროს ვცხოვრობთ. ჩვენ ვხედავთ, როგორ ინთება სხვადასხვა ადგილას ომის კოცონები. ხალხები აერთიანებენ მეცადინეობას, რათა ეს კოცონები არ გადაიქცეს უდიდეს მსოფლიო ხანძრად. ხალხთა გულისწყრომისა და იმ საპასუხო დარტყმის შიშით, რომელსაც მხარს დაუჭერს მთელი კაცობრობა, იმპერიალისტები ვერ ბედავენ გადაჩეხონ მსოფლიო ახალი ომის უფსკრულში.

ამიტომ არის ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი ფართო, დღევანდელის მსგავსი შეხვედრები, სადაც შეგვიძლია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო კულტურის თვალსაჩინო ნიმუშები მთელი კაცობრიობის საერთო მიღწევაა, სადაც შეგვიძლია ერთად გამოვძებნოთ ახალი საშუალებანი, რომ კულტურა დავიცვათ ყოველნაირი ბარბაროსობისაგან.

დე პოეზიის საყოველთაო სახალხო დღესასწაული გადაიქცეს მრავლის მთქმელ დღეებად. მეტყველებდეს პოეზიისა და დიადი მკითხველისა და დამფასებლის — ხალხის კავშირზე. ხალხის ტრადიციებზე, ჭეშმარიტი პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი სიყვარულის, სხვადასხვა ხალხის ძმობის, გმირობის, სიყვარულისა და მეგობრობის უმკნობ გრძნობებზე.

„ვეფხისტყაოსანი“ მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა. სასიხარულოა, რომ ეს ნაწარმოები მეოცე საუკუნეშიც ცოცხლობს — თანამედროვე ადამიანი პოეტს უსმენს, როგორც თანამოსაუბრეს.

დღესაც თანამედროვედ ჟღერს შოთა რუსთაველის სიტყვები: „რასაცა გასცემ—შენია, რაც არა—დაკარგულია“.

ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე შემოინახა რუსთაველის პოემა თავის მეხსიერებასა და გულში. მას ესტაფეტასავით გადასცემდნენ ხელიდან ხელში. გვინდა წარმოვიდგინოთ ის დრო, როცა შოთა რუსთაველი წერდა „ვეფხისტყაოსანს“. გავიხსენოთ, რა იყო საქართველო მაშინ, როცა ევროპაში მიმდინარეობდა სასტიკი ბრძოლა იმპერატორებსა და პაპებს შორის, იხრწნებოდა ბიზანტია, აღმოსავლეთში ირღვეოდა ოდესღაც მძლავრი სელჯუკთა სახელმწიფო.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დაამარცხა გარეშე მტრები დათრგუნა ამბოხებული ფეოდალები და დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა საქართველოს დედაქალაქი თბილისი, დაიწყო საქართველოს ისტორიის ახალი პერიოდი, აყვავების პერიოდი.

შოთა რუსთაველის დროს „ოვერთა ბრძენი დედოფლის“ (როგორც თამარ მეფე რუსმა მემატიანემ დაახასიათა) ეპოქის საქართველო უძლიერესი სახელმწიფო იყო. შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაშლილი მისი სამფლობელოები. ძირითადი ძველი მიწების გარდა საქართველოში შედიოდა ტრაპიზონის სამეფო, ვასალური მიწები — შირვანი, არზრუმისა და ერზინჯანის საემირონი, მისი გავლენის სფეროში იყო შაჰ-არმენთა და სხვათა სამფლობელოები და უძველეს კოსოგთა მიწები აზოვის ზღვამდე. მთელი ეს მიწები მეფედროდ იყო დასახლებული შრომისმოყვარე ხალხით.

საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი აღემატებოდა მაშინდელი დროის თურქეთისა და ირანის, ინგლისისა და საფრანგეთის შემოსავალს.

საქართველოში იგრძნობოდა მძლავრი ეროვნული აღმავლობა. იფურჩქნებოდა მეცნიერება და ხელოვნება. ორი აკადემია — გელათისა და იყალთოსი იზიდავდა ახალგაზრდა მეცნიერებს. ბეთანიის, ვარძიის, ქვათახევის, იყორნის, ფიტარეთის საუკეთესო არქიტექტურული ნაგებობებმა აქამდე შეინარჩუნეს მომხიბლავობა. ოქრომჭედლობამ, ქართულმა მინანქარმა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. გელათის, ურბნისის, ყინცვისისა და სხვა ადგილების მოზაიკა და ფრესკები მოწმობენ ქართული ხელოვნების აღმავლობას. ქართველი ოქრომჭედლები ოსტატობით სჯობნდნენ ბიზანტიისა და სირიის საუკეთესო ოსტატებს.

გამოჩენილი ფილოსოფოსები — ეფრემ მცირე, არსენი იყალთოელი, იოანე პეტრიწი — ქმნიდნენ თავის, ბერძნულისაგან განსხვავებულ. ფილოსოფიურ სისტემებს. საქართველოში განათლებული ადამიანები ეცნობოდნენ უძველეს და ახალ ლიტერატურულ ძეგლებს. კითხულობდნენ ჰომეროსის „ილიადასა“ და ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“, „ქილილასა და დამანას“ და ნიზამის „ლეილმაჯნუნიანს“ ფარხ-უდდინ გურგანის ქართულად დამუშავებულ „ვისრამიანს“.

ქართულ ენაზე იყო მაშინდელი ეპოქის პოეტების მიერ შექმნილი ოდები და პოემები. მაგალითად. დავით აღმაშენებელს იოვნე შავთელი უმღერის პოემა „ადდულმესიაში“. ჩახრუხაძის ოდების კრებული თამარ მეფის პატივსაცემად „თამარიანად“ იწოდებოდა.

შოთა რუსთაველი კარგად იცნობდა საქართველოს ცხოვრებას, იგი სწავლობდა ენებსა და მეცნიერებას, ხალხურ ლეგენდებსა და თქმულებებს, სწავლობდა იყალთოს აკადემიაში, მოგზაურობდა საბერძნეთში, სწავლობდა ბერძენ ფილოსოფოსებს, წერდა ლექსებს, ემზადებოდა თავისი პოეტური გმირობისათვის.

მაგრამ ფეოდალურ რაინდულ საზოგადოებაში გამოჩნდა სულ სხვა — ახალი დროის ადამიანი. არც ყურანის სურები, არც ეკლესიის ფსალმუნები და მცნებანი არ იზიდავდნენ ამ მეამბოხე სულს, რომელიც გამსჭვალული იყო პანთეიზმისა და თავისუფალი ადამიანის ხორციელი ხიყვარულის გზნებით.

ეს რჩეული ადამიანები გამოსავალს ეძებდნენ ლექსებში, სადაც უმღეროდნენ თავდავიწყებულ სიყვარულს, რომელიც შეუყვარებულს ავიწყებს ჩვეულებებსა და კანონებს, ეძებდნენ, თუ როგორ დაემხოთ ბნელეთი და ეთქვათ ადამიანისათვის ახალი სიტყვა, რომელიც დაატკბობდა არა მარტო შეძლებულთა სხეულს, არამედ გაიგებდა უბრალო ადამიანიც.

ასეთები იყვნენ დიდი პოეტები ნიზამი და ხაგანი, აგრეთვე სომეხი პოეტი ნერსეს შნორალი, რომელიც ოცნებობდა ადამიანის თავისუფლებაზე, და მხითარ გოში, რომელსაც სძულდა ფეოდალები და თავისი იგავ-არაკებით ამათრახებდა მათ.

მაგრამ გმირობა, რომელიც შოთა რუსთაველმა ჩაბეჭდა, იყო თავისებურ პოეტურ მწვერვალზე ასვლა, რომელიც მარტო მის შთაგონებას, მის გენიას ეკუთვნოდა.

მაშინდელ რთულ ვითარებაში ქვეყნის ერთობის საკითხი, უცხოელ დამპყრობთაგან მისი დაცვის საკითხი, სახელმწიფოს მეთაურისა და მისი თანაშემწე მეომრების პიროვნების საკითხი, ერთობა ორივე ქვეყნის ხალხების, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებისათვის.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ბროზ ტიტომ ერთმანეთს გაუზიარეს აგრეთვე აზრები მთელ რიგ ურთიერთსაინტერესო აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე.

საუბრების მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში და განაცხადეს, რომ კვლავაც საჭირო დახმარებას გაუწევენ ვიეტნამელ ხალხს საბარბაროსო ომის ბრძოლაში.

ორივე მხარემ ერთსულოვნად განაცხადა, რომ კვლავაც აქტიურად დაიცავენ მშვიდობის საქმეს, იბრძოლებენ შთელ მსოფლიოში სოციალიზმის ძალების შემდგომი განმტკიცებისათვის, ყოველმხრივ დახმარებასა და მხარდაჭერას გაუწევენ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საუბრები გულახდილ, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა.

შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი.

მხატვარი ს. ქოგულაძე.

მათ კიდობანი მოქქონდა, ეუბნეს არ აჯებითა,
მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა.

მხატვარი ი. თოიძე.

ლ. ი. ბრეჟნევის ყოფნის შესახებ იუგოსლავიაში

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივნის ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს მიწვევით 1966 წლის 22-25 სექტემბერს იუგოსლავიაში ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევსა და ამხანაგ ი. ბროზ ტიტოს შორის გაიმართა მეგობრული საუბრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ვ. ანდროპოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ამხ. ა. მ. პუზანოვი, იუგოსლავიის მხრივ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხ. ე. კარდელი და ამხ. მ. ტოდოროვიჩი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრები — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ამხ. მ. ნიკეზიჩი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე ამხ. ბ. შილეგოვიჩი, რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალური მდივანი ამხ. ბ. ცრნობრნია და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. დ. ვიდიჩი.

საუბრების დროს განხილეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის საკითხები, გამოთქვეს კმაყოფილება ამ ურთიერთობის განვითარების გამო და მისწრაფება კიდევ უფრო გაფართოონ და განამტკიცონ ეს ურთიერთობა ორივე ქვეყნის ხალხების, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებისათვის.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ბროზ ტიტომ ერთმანეთს გაუზიარეს აგრეთვე აზრები მთელ რიგ ურთიერთსაინტერესო აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე.

საუბრების მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში და განაცხადეს, რომ კვლავაც საჭირო დახმარებას გაუწევენ ვიეტნამელ ხალხს საბარბაროსო ომის ბრძოლაში.

ორივე მხარემ ერთსულოვნად განაცხადა, რომ კვლავაც აქტიურად დაიცავენ მშვიდობის საქმეს, იბრძოლებენ შთელ მსოფლიოში სოციალიზმის ძალების შემდგომი განმტკიცებისათვის, ყოველმხრივ დახმარებასა და მხარდაჭერას გაუწევენ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საუბრები გულახდილ, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ლ. ი. ბრეჟნევი იუგოსლავიიდან გაემგზავრა

ბელგრადი, 25 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ბელგრადიდან გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივნის ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს მოწვევით. მასთან ერთად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი.

ისე როგორც შეხვედრის დროს; იუგოსლავიის დედაქალაქის ქუჩებში ვლავ შეიკრნა ათასობით ხალხი ბელგრადელი, რომლებმაც გულთბილად გააცილეს საბჭოთა სტუმრები.

ბელგრადის აეროდრომზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გააცილეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ბროზ ტიტომ, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრებმა, ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხ. ე. კარდელმა და ამხ. მ. ტოდოროვიჩმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ლ. ი. ბრეჟნევის მეგოგრული ვიზიტი უნგრეთში

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით ამა წლის 25-26 სექტემბერს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში მეგობრობის ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. მასთან ერთად ჩავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი.

ვიზიტის დროს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და იანოშ კადარმა მეგობრულად გაუზიარეს ერთმანეთს აზრები ბევრ საკითხზე. საუბრებში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ვ. ანდროპოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხ. თ. ე. ტატოვი; უნგრეთის მხრივ — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პოლიტბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები ბელა ბისკუ და ზოლტან კომოჩინი.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და იანოშ კადარმა ერთმანეთს გააცნეს კომუნიზმისა და სოციალიზმის მშენებლობა ორივე ქვეყანაში, განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მჭიდრო ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობა.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა

26 სექტემბერს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობიდან მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. მასთან ერთად დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი. (საკდესი).

სომალის რესპუბლიკის პრეზიდენტი ლენინგრადში

ლენინგრადი, 26 სექტემბერი. (საკდესი). ალმა-ატიდან დღეს აქ ჩამოვიდა სომალის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალენ აბდულა ოსმანი.

ლენინგრადში ს

მარად უკვდავი

სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი

ქართული კულტურის ყველა დარგში — მხატვრობაში, ქანდაკებაში, მუსიკაში, ცოცხლობს რუსთაველის სახე. იგი ჩვენი პერიოდის შემოქმედებითი გენიის განსახიერებაა.

სიტყვა ეძღვნება რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს მ. ალექსეევს.

რუსეთის ფედერაციის მწერალთა სახელით იგი ესალმება პლენუმის მონაწილეებს და ამბობს, რომ რუსი მწერლები, ისევე როგორც ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვენიერება, მოწიწებით ქედს იხრიან დიდი ქართველი პოეტის, მაღალსანდობრივ მისწრაფებათა მებრძოლის, სიმართლისათვის მებრძოლის წინაშე.

ჩვენთვის — საბჭოთა ადამიანებისათვის, შოთა რუსთაველის ქმნილება ღრუბლად თანამედროვეა. იგი ჩვენს გულში ერწყმის რუსი ხალხის ეპოსს „ამირან იგორის ლაშქრობაზე", ლომონოსოვის, პუშკინის, ლერმონტოვის პოეზიას. საბჭოთა ადამიანების გულში იცოცხლებს შოთამაგონებელი სიტყვები, რომელიც ქება-დიდებას ასხამენ პატიოსნებას, ვაჟკაცობას, მეგობრობასა და ერთგულებას.

ბრძენმა შოთამ მტკიცე ხიდი გადო ადამიანთა გულებს შორის. ამიტომ ვამბობ: დიდება ყველა ქვეყნის, ყველა ხალხისა და ყველა ეპოქის დიდ ჰუმანისტსა და პოეტს შოთა რუსთაველს! დიდი და ბედნიერია ერი, რომელმაც ასეთი კაცი ჩინცა მსოფლიოს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანს, უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ლენინის პრემიის ლაურეატს ო. გონჩარს.

ნ ქართველ მწერლებს მიართვა პოლონელი ქალების მიერ ამოქარგული ხელსაოცაზე დალაგებული უკრაინელი ხალხის ორი საყვარელი წიგნი — „კობზარი" და „ვეფხისტყაოსანი" უკრაინულ ენაზე.

უკრაინამ რუსთაველი გაიცნო საქართველოს მეორე დიდი მამულიშვილის — დავით გურამიშვილის მეოხებით, რომელიც პოლტავის ვილუბნი ხშირად ფიქრობდა თავის ლეგენდარულ წინაპრებზე, იმას, ვინც წარსულ საუკუნეთა შორეულ მზის ქვეშ ახარა ქართველ პოეზიის საუკეთესო ნერგი.

ტარას შევჩენკოს ახალგაზრდა მეგობრები მოკოლა გულაკი და ალექსანდრე �ოცკი დაინტერესდნენ რუსთაველის ენით და დაიწყეს ქართული ენის, კულტურის შესწავლა, მაშინ ნაროცკიმ ადა პოემა უკრაინულად ეთარგმნა. ქეთილშობილური ალმაფრენა ნაკარგები იყო ძმური სოლიდარობითა და ერთმანეთ გამოწვეული აღტაცების გრძნობა. მაგრამ პოემის მთლიანი და სრულფასოვანი თარგმანი უკრაინელმა მკითხველმა მიიღო ჩვენს დღეებში. მიკოლა ბაჟანის „ვეფხისტყაოსანის" ბრწყინვალე თარგმანი დიდი მოვლენა იყო უკრაინულ კულტურულ ცხოვრებაში.

ამ დღეებში კიევში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის" ახალი საიუბილეო გამოცემა. უკრაინელმა მკითხველმა მიიღო მიკოლა ბაჟანის ახალი თარგმანი. არის ირაკლი აბაშიძის პოემა „პალესტინა, პალესტინა..." ლენინური პრემიის ლაურეატმა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, ბელორუსიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ პ. ბროვკამ თქვა:

— მაგონდება მწერალთა პირველი გაერთიანებული პლენუმი თბილისში, რომელიც „ვეფხისტყაოსანს" მიეძღვნა. მას შემდეგ ოცდაათმა წელმა განვლო. გადავიტანეთ ომის განსაცდელი, ვიბრძოდით იმათ წინააღმდეგ, ვისაც უნდოდა მოესპო მსოფლიო კულტურის მიღწევები, პუშკინისა და ტოლსტოის, შევჩენკოსა და რუსთაველის, ნიზამისა და ნავოის ქმნილებები.

ჩვენ ვიბრძოდით და გავიმარჯვეთ ლენინის დროშით, ხოლო ჩვენს გულში აღბეჭდილია ყველა ჩვენი გამოჩენილი მასწავლებლის, მათ შორის ქართველი ხალხის დიდი შვილის შოთა რუსთაველის სიტყვები.

დღეს საბჭოთა კავშირში არ არის ისეთი კუთხე, სადაც არ კითხულობდნენ შოთა რუსთაველის უკვდავ სტრიქონებს. ამ დღეებში ჩვენთან, ბელორუსიაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და სასწავლებლებში იმართება დიდი პოეტისადმი მიძღვნილი საღამოები.

ვკითხულობთ რუსთაველს და ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ განადიდა მან თავისი ხალხის უდიდესი, ცხოველმყოფელი ძალა. მისი უკვდავი სიტყვებით აღფრთოვანებული ქართველი ხალხი რუსთაველის საყვარელ სამშობლოში დიად საქმეებს სჩადის. ჭითარა და ქუთაისი, ფოთი და რიონი, დიდებული თბილისი, — რაოდენ ბევრ რამეს ეუბნებიან ისინი თითოეულ ჩვენთაგანს თავისი დიადი საქმეებით.

ჩვენ გვახარებს რუსთაველის მემკვიდრეთა, მოძმე საქართველოს პოეტთა და მწერალთა დიდი მიღწევები, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ პოეტის დიად საქმეს. საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთსულოვან ოჯახში.

ჩვენ, ბელორუსებს, დღეს დიდ კმაყოფილებას გვანიჭებს, რომ ჩვენს თანამოკალმეებს შეგვიძლია მივუძღვნათ „ვეფხისტყაოსანი" ახალი თარგმანი ბელორუსულ ენაზე, რომელიც შესასრულეს უხუცესმა პოეტებმა ოდეს ზვოროკმა და მოკოლა ხვედოროვიჩმა.

ტრიბუნაზეა უაზახეთის უხუცესი ლიტერატორი, მწერალი — აკადემიკოსი ს. მუკანოვი.

ყოველ ხალხს, — თქვა მან, — თავისი კულტურის ფუძემდებელნი, თავისი კლასიკოსები ჰყავს. მათს უმრავლესობას წარსულში. მხოლოდ თავისი ხალხი ან რამდენიმე ხალხი თუ იცნობდა. მხოლოდ ჩვენს დროში გახდა პოეტთა და მწერალთა შემოქმედება ყველა ხალხის კუთვნილება.

რუსთაველი მარტო ქართველი პოეტი როდია, იგი ყაზახი პოეტიც არის. და ეს შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს დროში, ჩვენს ქვეყანაში.

ამ საღამოსადმი ღდეს, თქვა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო მწერალმა მ. იბრაგიმოვმა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ნიზამის ხალხის, რესპუბლიკის მწერალთა სახელით ძმურად მოგესალმებით თქვენ, პლენუმის მონაწილეებს.

აზერბაიჯანელ ხალხს ბევრი რამ აკავშირებს ქართველ ხალხთან. ჩვენს მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს. ჩვენ გვაკავშირებს არა მარტო კავკასიონის მთები, არამედ ბრძოლაც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ჩვენს ლიტერატურაში ბევრი ნაწარმოება მიძღვნილი ქართველი ხალხის ცხოვრებისადმი. ჩვენი პოეტები ხოტბას ასხამდნენ საქართველოს მომხიბლავ ბუნებას, შესანიშნავ ქართველ ხალხს.

რუსთაველის შემოქმედება გვეხმარება საბჭოთა ხალხის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში. შემთხვევითი როდია, რომ ამ დარბაზში არიან საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენლები. ეს შეესაბამება რუსთაველის შემოქმედების სულისკვეთებას.

მ. იბრაგიმოვმა ქართველ მწერლებს მიუძღვნა ამას წინათ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი", რომელიც აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნეს აზერბაიჯანის სახალხო პოეტებმა ს. ვურღუნმა, ს. რუსტამმა, მ. რაგიმმა.

სიტყვა ეძლევა ლიტვის მწერალთა კავშირის მდივანს, ლენინური პრემიის ლაურეატს ე. მეძელაიტისს.

— 800 წლის წინათ კავკასიონის მაღალ მთებში ბობოკარ ნაკადვით დაიძრა შესანიშნავი გენია, აღლერდა მშვენიერი სიმღერა სიყვარულზე. არასოდეს არ დამშრალა და არ დაშრება ქართული პოეზიის წყალუხვი ნაკადი.

შავბნელი, ფანატიკური და ასკეტური შუა საუკუნეების ფონზე აღლერდა რუსთაველის ცხოველმყოფელი სტრიქონები, რომლებიც სულ სხვაგვარად წყვეტენ ადამიანის ყოფიერების ფილოსოფიურ პრობლემებს.

შოთა რუსთაველი პოეზიის რაინდი იყო, მისი სულიერი სისპეტაკე, კეთილშობილება მოგვაგონებს ისეთი პოეტების სახელოვან საქმეებსა და ბედს, როგორიც იყვნენ ოვიდიუსი და დანტე, ბაირონი და პუშკინი, ლორკა და მაიაკოვსკი...

ნამდვილი პოეზია მხნეობას გვმატებს სიმართლისათვის ბრძოლაში. მადლობა ქართულ პოეზიას, რომელიც დღემდე განაგრძობს ამ რაინდულ, კეთილშობილურ ტრადიციას.

უზბეკი ხალხის სახელით პლენუმის მონაწილეებს გულითადად მიესალმა უზბეკეთის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჰ. ზარხიდოვი.

— დიდ ადამიანებს დრო ვერას აკლებს, ისინი ფიქრობ ძლიერი და უკვდავი არიან, — თქვა ორატორმა. — ისინი ხოტბას ასხამდნენ მაღალ, მარად ცხოველმყოფელ ადამიანურ იდეალებს და თავიანთ ბედს ხალხთა ბედს უკავშირებდნენ. ასეთია რუსთაველი. იგი ყოველი თაობის თანამედროვეა და ეკუთვნის მთელ პროგრესულ კაცობრიობას, ყველა ხალხს. „ვეფხისტყაოსანი" ხალხთა სოციალისტური კულტურის ოქროს ფონდში შევიდა, სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს მილიონობით უზბეკ მკითხველთა შორის, შოვაწოდებს მეგობრობისათვის, შემოქმედებისათვის, გმირობისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სიტყვას ამბობს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, სომხეთის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი ს. პაპუტიკიანი.

დღეს, თქვა მან, მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად ჩვენ, სომხებიც ვზიარებთ საქართველოს დიდ სიხარულს — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. საუკუნეთა განმავლობაში იწერებოდა, იკითხებოდა, ეღერდა რუსთაველის უკვდავი სტრიქონები, თაობიდან თაობას, გულიდან გულს, გადაეცემოდა მისი მწუხარება და სიხარული, სინაზე და ბუმბერაზული ძალა, და მან, რუსთავის მკვიდრმა მოიარა მთელი საქართველო, გასცდა მის საზღვრებს და მიაღწია იმას, რაც ვერ შეძლეს მეფეებმა და ჯარებმა, — დაიპყრო სამხრეთი და ჩრდილოეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი, დაიპყრო მსოფლიოს ყველა ქვეყანა.

ნება მიბოძეთ ყველაზე ადრე დაპყრობილი მხარის — სომხეთის, სომეხი ხალხის სახელით, რომელმაც ახ წელზე მეტი ხნის წინათ დაიწყო „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა, მოვესალმო თქვენს სრულიად საქართველოს დღესასწაულს, ჩვენს დღესასწაულს, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ოჯახის დღესასწაულს.

დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ხიდები ქვეყნებსა და ხალხებს შორის, რომლთა საძარკვლებისათვის ამდენი ქვა შეუძლიათ ზიდონ თავიანთი ბუმბერაზული მხრებით ავთანდილმა, ტარიელმა და ფრიდონმა. დაე ყველა ჩვენგანისათვის შთამაგონებელი იყოს ამ სხვადასხვა ტომის ძმადნაფიცთა ალეფშობილური სიყვარული, მათი თვდადებული ერთგულება, ადამიანური ღირსების ღრმა პატივისცემა.

დაე მარად ცოცხლობდეს და დღეგრძელი იყოს ქართველი ხალხი, რაინდული გული, პოეზიისა და სილამაზის ხალხი; ხალხი, რომლის მეფეები პოეტებიც იყვნენ და პოეტები მეფეებზე უფრო დიდხანს და ძლევამოსილად მეფობდნენ; ხალხი, რომელიც საოცრად მრავალმხოვნად მღერის, მაგრამ ესოდენ ერთსულოვანია, როცა მის ღირსებას ემუქრებიან; ხალხი, რომელიც მტკიცეა არა მარტო რუსთავის ფოლადით, არამედ რუსთაველის ფოლადითაც — თავისი სულის ფოლადით: თავისი ლამაზი დამწერლობით, მყინვარწვერივით შეუდრეკელი ენით, თავისი მჩქეფარე სიცოცხლითა და უკვდავ ქმნილებათა შექმნის მისწრაფებით.

მოლდავეთის მწერალთა და მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა, მოლდავეთის სახალხო პოეტმა ა. ლუბანმა.

— ჩვენში, თქვა მან, რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა „ქართული კულტურის კვირეული". ქალაქებსა და სოფლებში, ლიტერატურულ საღამოებზე მოლდაველები მშობლიურ ენაზე კითხულობდნენ შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას. იუბილეს დღეებში გამოვიდა შოთა რუსთაველის პოემის ახალი თარგმანი მოლდავურ ენაზე.

— დიდია სოციალისტურ ერთა მეგობრობის ძალა, — თქვა ლატვიის სსრ კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა კ. კრაულინმა. — ერთი ხალხის სიხარული და სიამაყე ყველა დანარჩენი ხალხის სიხარული და სიამაყეა. რაინისისა და ანდრია უპიტის ხალხი ამ დღეებში სულითა და გულით ქართველ ძმებთან და დებთან ერთად ხარობს, აღტაცებულია უკვდავი შოთა რუსთაველის შემოქმედებით გენიის პუმანურობით, მისი სულიერი სიდიადით, მისი ხელოვნების გაბედულებითა და უბადლო ძალით. მალე „ვეფხისტყაოსანი" ითარგმნება რაინისის ენაზე!

ტაჯიკეთის სახალხო პოეტმა მ. მირშაქარმა წაიკითხა შოთა რუსთაველის პოემის ნაწყვეტები ტაჯიკურ ენაზე.

სიტყვას ამბობს ყირგიზეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მწერალი ტ. მალიკოვი. რუსთაველის მშვენიერი ნაწარმოები, — თქვა მან, — უუვარეთ ჰეროიკული ხალხური პოემის „მანასის" მხარეში. ჩვენ გვაქვს „ვეფხისტყაოსნის" შესანიშნავი თარგმანი, რომელიც პოეტმა ა. ოსმანოვმა შეასრულა. ახლა შეადგება პოემის მეოთხე გამოცემა.

პლენუმის მონაწილეებს მიესალმა თურქმენი მწერალი ბ. სეიფაკოვი.

— ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ნამდვილი ხელოვნება, ვისაც აცოცხლებს საყოველთაო თანასწორობისა და ძმობის ნათელი მოზნები, ვინც პატივს სცემს აზრთა და გრძნობათა ალმაფრენას, — თქვა მან, — დღეს მიმართავს შოთა რუსთაველის დიდებულ სახეს, მის უკვდავ პოეზიას.

სიტყვა ეძლევა „მოძმე ჩუვაშური ლიტერატურის წარმომადგენელს, ჩუვაშეთის სახალხო პოეტს პ. ხეშანგაის.

— როცა რუსთაველს კითხულობ და მასზე ფიქრობ, ფიქრობ მთელ საქართველოზე და მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე, მის გასაოცარ ბედზე.

რუსთაველის უკვდავების თანამონაწილეა მთელი ქართველი ხალხი. საქართველოს დიდების პირველი, უბრწყინვალესი გვირგვინია რუსთაველი.

ათასობით თუ არა, ასობით ქართველ პოეტს მიუმართავს „ვეფხისტყაოსნის" შემქმნელისათვის. იგი იყო მათი სულიერი ძლიერების და ხალხის ფიზიკური სილამაზის, სიტყვის, მუსიკისა და აზრის ალმაფრენის პარმონიული განსახიერება, მათი შთაგონების წყარო და შემოქმედებითი ალმაფრენის საწინდარი. ასე იყო საუკუნეთა განმავლობაში, ასეა ჩვენს დროშიც.

დიდი პოეტის იუბილეს იმ პროცესში მომისწრო, როცა მშობლიურ ენაზე ვთარგმნი პოემას. თარგმანის პირველი თავები დაიბეჭდა ჟურნალ „ალავის" სექტემბრის ნომერში. კარგი იყო ეს შედეგი უშუალოდ ქართულიდან მეთარგმნა. დიდი ხანია ამაზე ვოცნებობ, მაგრამ ჯერჯერობით ქართული ენა ძალიან სუსტად ვიცი. ხანგრძლივი და მეჯითი სწავლაა საჭირო.

ბ. ხუშანგაიმ წაიკითხა საკუთარი ლექსი „გამარჯობა, საქართველო".

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ბ. შინკუბა.

აფხაზი ხალხი ძველთაგანვე ძმობდა ქართველ ერს, თქვა მან, — მასთან ერთად იცავდა თავის კულტურასა და დამოუკიდებლობას. აფხაზთა და ქართველთა მეგობრობა შედუღაბებულია მრავალი თაობის სისხლით, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს საერთო ინტერესებს, აფხაზეთის ლაშქარი მონაწილეობდა ყველა დიდ ომში, რომლებიც ქართველებს ჰქონდათ უცხოელ დამპყრობლებთან.

რუსთაველის ეპოქაში ქართული შუასაუკუნეობრივი ფეოდალური კულტურა დიდ გავლენას ახდენდა აფხაზეთზე, როგორც ამას მოწმობს მატერიალური და სულიერი კულტურის შესანიშნავი ძეგლები.

XIX-XX საუკუნეებში აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომლებიც ახლოს იდგნენ ქართულ კულტურასთან, დიდი ინტერესი გამოიჩინეს შოთა რუსთაველის ქმნილებისადმი. მათ კარგად იცოდნენ პოემა, ბევრი კი სამეცნიერო, შრომებს უძღვნიდა მას.

რევოლუციამდელი აფხაზი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელმა დავით ჩხოტუამ დაწერა შესანიშნავი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის" ცალკეულ პრობლემებზე.

აფხაზურ ენაზე პოემის თარგმნა პირველად ჯერ კიდევ რევოლუციამდე სცადა ოჩამჩირელმა პედაგოგმა დიმიტრი მაანანმა. მაგრამ მის ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ კეთილშობილურ საქმეში თავიანთი ძალები სცადეს უკვე საბჭოთა პერიოდში პოეტებმა ლევარსან კვიცინიამ და მიხეილ გოჩუამ. პოემის სრულ თარგმანს აფხაზურ ენაზე უნდა ვუმადლოდეთ აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელს, დიმიტრი გულიას.

მეც მოვკიდე ხელი ამ მშვენიერი პოემის თარგმნას, მართალია, ჯერჯერობით ცოტა რამ გავაკეთე: ვთარგმნე ცალკეული თავები და 130 სტრიქონზე მეტი აფორიზმი.

სსრ კავშირისა და რუსეთის სსრ მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა რასულ გამზატოვმა ილაპარაკა იმ პოპულარობაზე, რომლითაც „ვეფხისტყაოსანი" სარგებლობს დაღესტნელ ხალხში.

— რუსთაველი, — თქვა მან, — ჩვენი კავკასიური პოეზიის წინასწარმეტყველია. ნება მიბოძეთ პატარა დაღესტანის, ჩვენი მრავალენოვანი ხალხების სახელით გულითადად, ძმურად მოგესალმოთ და მოგილოცოთ ეს დიდი ეროვნული დღესასწაული.

„ადამიანი მაშინ გახდა ადამიანი, — ამბობს გაზეთ „პრავდის" ხელოვნებისა და ლიტერატურის განყოფილების რედაქტორი ნ. აბალკინი, — როცა მან ხელში აიღო შრომის იარაღი. ასე ამბობს მატერიალისტური მეცნიერება. მაგრამ დღეს ჩვენს პოეტურ ზეიმზე მოწიწებით ვთხოვთ მეცნიერებას სულ რამდენიმე ხიტყვა დაეუმატოთ ამ ფორმულას. ადამიანი მაშინ ხდება ადამიანი, როცა ხელში იღებს შრომის იარაღს, როცა მის გულში, რომელიც შეიცნობს სამყაროს მშვენიერებას, პირველად აღდერდება პოეზიის სიმი. პოეზიის ჯადოსნური საიდუმლოება ის არის, რომ ცნობილი პოემის სიტყვებში ყოველთვის იგრძნობა გულის გამომძახილი. და ბედნიერია ხალხი, რომელმაც მსოფლიოს მისცა პოეტი, რომლისთვისაც ბუნებას მოუმადლებია ნიჭი გადმოსცეს ეს გულის ძახილი.

რუსთაველი საუკუნეთა სიღრმიდან მოვიდა ჩვენამდე. გრძელმა გზამ ვერ დაადარა იგი. იგი კვლავ ახალგაზრდა, ლამაზი, ვაჟკაცური და ნაზია. ჩვენს წინაშე გადაშლილია საუკუნეთა გზა და პუშკინთან, სხვა ხალხების დიად პოეტებთან ერთად რუსთაველი მიგვყავს კომუნიზმში.

რუსთაველისადმი მიძღვნილი მგზნებარე ლექსები წაიკითხა ბაშკირმა პოეტმა პ. ულლიევმა.

კარელიელი მწერალი ბ. ტიმონენი პლენუმის მონაწილეებს მიესალმა უძველესი „კალევალას" ხამშობლოს სახელით, მოულოცა ქართველ ხალხს დიდი დღესასწაული — უკვდავი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი.

თუმცა ჩვენს ქვეყნებს შორის უდიდესი მანძილია.—თქვა მან, — მაგრამ თავისი სულისკვეთებით „კალევალა" და „ვეფხისტყაოსანი" ქება-დიდებას ასხამენ ერთსა და იმავე იდეალებს — სამშობლოსადმი სიყვარულს, სიყვარულს, მეგობრობის, სიმღერის, მშვიდობიანი შრომის ძალას, უმღერიან სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებას. „ვეფხისტყაოსანი" და „კალევალა" თითქმის თანატოლები არიან.

1934 წელს ფინურ ენაზე გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის" თარგმანი, რომელიც ეკუთვნის სახალხო პოეტს იალმარი ვირტანს. 1935 წელს კი გამოვიდა ჩვენი „კალევალას" პირველი საბჭოთა გამოცემა. ახლა კარელიაში თითქმის არ არის ადამიანი, რომ „ვეფხისტყაოსანი" არ წაეკითხოს.

თავის სიტყვებში მაღალი შეფასება მისცეს შოთა რუსთაველის მემკვიდრეობას ბულგარელმა პოეტმა ე. ბაბრინანმა, ინგლისელმა რომანისტმა ჯ. ოლდრიჯმა, ინდოელმა პოეტმა ა. პრიტანმა, ალეირელმა მწერალმა ი. კატებმა, ჩილელმა მწერალმა ფ. კოლოანმა, ავსტრალიელმა პოეტმა დ. დაბოგმა, „ვეფხისტყაოსნის" პოლონურად მთარგმნელმა ე. ზაგურსკიმ, პოემის უნგრულ ენაზე მთარგმნელმა შ. ვერეშმა.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

პლენუმის მონაწილეებს აჩენეს „ვეფხისტყაოსნის" ლიტერატურულ-დრამატიული კომპოზიცია, რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა დადგა. (საქდესი).

სურათზე: შოთა რუსთაველის იუბილეზე ჩამოსული სტუმრები — ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი დავიდ ლანგი (მარცხნივ) და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ალფრედ კურელა (მარჯვნივ) სტუმრად მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიასთან.

ფოტო კ. კიკვაძის, ბ. დადვაძის (საქდესის ფოტოკორონიკა).

ქეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა!

ამ დღეებში თბილისის აეროპორტი ინტერნაციონალური მეგობრობისა და ძმობის ქარიბჭე გახდა. მეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დედაქალაქი პირველად ხდება პოეტებისა და მწერლების ასეთ მოკრძალებულ თანაკრებულებელ. ბეტონის ბილიკზე ზედიზედ ეშვებიან თვითმფრინავები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოუყვიათ სტუმრები ქართველი ხალხის დიდ დღესასწაულზე.

ჰოლში გაისმის სიტყვები სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ჩამოსულთა უმრავლესობას თარჯიმნები არ სჭირდებათ, სტუმრები კარგად ლაპარაკობენ რუსულად, ზოგიერთი მათგანი კი ქართულადაც.

— პირველად როდი ჩამოვდივარ თბილისში, — თქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, გერმანიის ისტორიის თვალსაჩინო სპეციალისტმა ლეო შტერნმა. — აქ ბევრი მეგობარი მყავს და მიხარია კვლავ რუსთაველის მიწა-წყალზე რომ ჩამოვედი.

ლეო შტერნი ძველი კომუნისტია. ომის დროს იგი საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა. უფრო ადრე კი რესპუბლიკას იცავდა ესპანეთში. მასთან ერთად ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი თანამშრომელი, ენათმეცნიერი ეკალდ შანკვიელერი — ქართული ენის სპეციალისტი.

— გამარჯობათ, მეგობრებო, — შესანიშნავი ქართულით თქვა ჩეხმა მწერალმა და მთარგმნელმა ვაცლავ ჩერნიმ. — ძალზე მოხარული ვარ, რომ რუსთაველის იუბილეზე ჩამოვედი.

ვაცლავ ჩერნი ქართულ ენაზე ზეპირად ამბობს ნაწყვეტს „ვეფხისტყაოსნიდან".

შორეული ავსტრალიიდან ჩამოვიდა პოეტი და ვამომცემელი ჯეფრი დანგონი. რამდენიმე დღის წინათ იგი დაესწრო შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნას აფხაზეთის ერთ-ერთ სოფელში. მან თქვა: ჩემი გამომცემლობის უახლესი გეგმებით გათვალისწინებულია ქართული პოეზიის კრებულის გამოცემა. კრებულში შევა ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან".

— ჩვენ ამას წინათ წავიკითხეთ შოთა რუსთაველის პოემის თარგმანი ინგლისურ ენაზე, — განაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსულმა კინოსცენარისტებმა ლი გოლდმა და თამარ ჰობმი — ფილმ „ტამანგოს" სცენარის ავტორმა. ეს ფილმი წარმატებით მიდიოდა საბჭოთა ეკრანებზე. — პოემის თარგმანი სრულ წარმოდგენას იძლევა ენის სილამაზის შესახებ. — თქვეს მათ.

მაღლენ ბრონი, საფრანგეთის პარლამენტის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ახლა პარიზის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობის დირექტორია. აეროპორტში იგი შეხვდა თავის ძველ ნაცნობს, ფრანგულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელს სერგო ფოფხაძეს. მაღლენ ბრონის ახრით ეს თარგმანი შესანიშნავია.

ფრანგმა მწერალმა პირ გამარამ თქვა: „რაც უფრო მეტს ვკითხულობ რუსთაველის პოემას, მით უფრო აღტაცებული ვარ".

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოვიდნენ: მიუნსტერის უნივერსიტეტის პროფესორი ოსკალდ შმიდტი, ცნობილი პოეტი ენცენს ბერგეი და მიუნხენის უნივერსიტეტის დოცენტი ინგლიუს ალანგი, საფრანგეთიდან — „საფრანგეთ-სსრ კავშირის" ასოციაციის ერთ-ერთი პრეზიდენტი ლეო ამონი, ამ ასოციაციის გენერალური მდივანი რაიმონ რუსი, ჰოეტები ეტიენ გიეტიკი და ივ გარდონი, საფრანგეთის რადიოს მუსიკის განყოფილებისა და ჟურნალ „მუსიკის" რედაქტორი როსტისლავ გოფმანი, ჟურნალ „საფრანგეთ-სსრ კავშირის" კორესპონდენტი კრისტინა ლუტსი.

ჩეხოსლოვაკიამ საიუბილეო ზეიმზე გამოგზავნა ლოვეკ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პოეტი ეოიტენ მიგალიკი, მწერალი ანრა მიგალიკოვა. ჩეხოსლოვაკიის სალეჩოს მოსკოვის მრჩეველი ეკლტურის საკითხებში პოეტი ალიკ ტაიფერი.

პოლონეთიდან ჩამოვიდნენ პოეტი ვაცლავა შიმბორსკა, „ვეფხისტყაოსნის" პოლონურ ენაზე მთარგმნელი პოეტი იგორ სიკირიცკი, იულიან პშიბზი.

ბულგარეთის დელეგაციაში შეიყარნენ პოეტები დორა გაბე, ელისაბედ ბაგრიანა და

იუბილეს პირველი დღე

25 სექტემბერს რესპუბლიკაში დაიწყო საიუბილეო ზეიმი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად.

იუბილეს პირველი დღის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო თბილისში „ქართული კულტურის“ გამოფენის გახსნა. საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთელი ტერიტორია და ცხრა პავილიონი გახდა ის დიდი ხარკე, რომელშიც მკაფიოდ და შთამბეჭდავად აისახა ქართული კულტურა დამწერლობის პირველი ძეგლებიდან (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წარწერები — V საუკუნის პირველი ნახევარი) ჩვენს დღეებამდე. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ დათვალიერებთ პავილიონებს „ქართული დამწერლობა და ლიტერატურა“, „სახვითი ხელოვნება“, „ხალხური ხელოვნება“, „კინოხელოვნება“, „თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება“, „მეცნიერება და განათლება“, „არქიტექტურა“ და სხვ.

შესვლისთანავე დამთვალიერებელი საქართველოს სახალხო მხატვრის რობერტ სტურუას ორი შესანიშნავი პანოს „ტყვეობაში“ ექცევა. ერთ მათგანზე გამოსახულია თამარ მეფე, მეორეზე — შოთა რუსთაველი.

შესასვლელთან აღმართული კომპოზიცია გამოხატავს ხალხის სიყვარულს „ხელის-ხელ საგოგმანები“ პოემისადმი. კომპოზიციის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი მერაბ ბერძენიშვილი.

გამოფენის ტერიტორიის სიღრმეში დამთვალიერებელი კვლავ ხედავს ტახტზე მჯდომარე თამარს და შოთა რუსთაველის მონუმენტურ ფიგურას, რომელსაც გულში ჩაუხუტებია თავისი პოემა. ქანდაკების ავტორები არიან გ. ჯაფარიძე და დ. ყიფშიძე.

შუადღისას გამოფენის ტერიტორიაზე თავი მოიყარეს საიუბილეო ზეიმის მონაწილეებმა, შემოქმედებითი ინტელიგენციისა და რესპუბლიკის მშრომელების წარმომადგენლებმა, მოძმე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა.

ვერნისაჟზე მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები დ. ბ. სტურუა, რ. ი. ფრუნიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების თავმჯდომარეები.

მიკროფონთანაა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი. მან თქვა:

— დიდგა ნანატრი წუთი, რომელსაც ასე ელოდა მთელი საქართველო, დიდი პოეტის ყველა თაყვანისმცემელი. იწყება შოთა რუსთაველის იუბილე. მთელ რესპუბლიკაში სიხარული სუფევს. ყველგან იგრძნობა სიყვარული და პატივისცემა უკვდავი პოეტისა და მისი პოემისადმი, რომელმაც წარუშლელი კვალი დაჩნია მთელ ქართულ კულტურას.

რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა გადაჭრა ლენტი და გამოფენაზე მიიწვია სტუმრები. რუსთაველის პოემა, მისი ეპოქა, ქართული ხელოვნების წარსული, აწმყო და მომავალი — აი რესპუბლიკის სტუმრების — საბჭოთა და უცხოელი მწერლების, ხელოვნების მოღვაწეების გაცხოველებული საუბრების თემა.

საქდესის კორესპონდენტმა რამდენიმე სტუმარს სთხოვა გამოეთქვათ თავიანთი აზრი გამოფენის შესახებ. აი რა თქვეს მათ:

ჟერარ ბარიდი (ბელგია) — ამაზე უკეთესი გამოფენა არასოდეს არ შინახავს. თავისი მრავალფეროვნებით იგი მომაგონებს ენციკლოპედიას, რომელიც გინდა სამუდამოდ დაიხსომო.

რენე ლაფონი (საფრანგეთი) — საოცარი შთაბეჭდილებაა. ბედნიერი ვარ, რომ ვიხილე ეს უსაზღვრო მშვენიერება.

იპიო ფუკურო (იაპონია) — პუშკინმა და ლერმონტოვმა შემაყვარეს საქართველო და გადავწყვიტე მეთარგმნა რუსთაველის პოემა. მე ვიცი საქართველოს ისტორია და მიხარია, რომ დღეს ამ გამთფენაზე აგრძნობ საქართველოს დიდებულ წარსულს, მის მდიდარ კულტურას.

ვადიმ სოკოკ (კიევი) — ეს გამოფენა შოთა რუსთაველის იუბილეს დამამშვენებელი სამკაულია. მართლაც რომ გრანდიოზულია.

ნიკოლოზ ტიხონოვი — ასე მგონია დღეს ისევ შემოვიარე-მეთქი საქართველოს ყველა კუთხე. შესანიშნავი გამოფენაა, ნიჭებულად, ნიჭიერად, მშობლიური კულტურისა და მეცნიერების დიდი სიყვარულით არის მოწყობილი. ეს გრანდიოზული სანახაობა რუსთაველის დიდების ღირსია.

• • •

25 სექტემბერს სამ საათზე საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა გამოფენა „ყველაფერი რუსთაველის შესახებ“. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ვახტანგ ბერიძემ გამოფენის გახსნისას ილაპარაკა, თუ როგორი სიყვარულით შემოინახა ქართველმა ხალხმა რუსთაველის სახელი საუკუნეთა ქარტეხილში. გამოფენაზე თავმოყრილია თითქმის ყველაფერი, რაც კი დაწერილია რუსთაველზე. მისი დიდებული პოემის ყველა გამოცემა, ექსპონირებულია „ვეფხისტყაოსნის“ შემორჩენილი ხელნაწერები, პირველი გამოცემები, გამოფენილია რუსთაველის მკვლევარი ცნობილი ქართველი მეცნიერების პორტრეტები, სსრ კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა ენებზე „ვეფხისტყაოსნის“ ყველა მთარგმნელის ფოტოსურათები.

გამოფენაზე წარმოდგენილია პოემის ილუსტრაციები და ძველებური მინიატურები, მამუკა თავაქარაშვილის, მიხაილ ზიჩის, თამარ აბაკელიას, სერგო ქობულაძის, ლადო გუდიაშვილის ნამუშევრები. აქვეა სრულიად ახალი, ჯერ გამოუქვეყნებელი ნამუშევრები, რომლებიც ეკუთვნით სსრ კავშირის სახალხო მხატვარს უჩა ჯაფარიძეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ალექსიან მაისიაშვილს, საქართველოს დამსახურებულ მხატვარს ნათელა იანკოშვილს, მხატვარ ლევან ცუცქირიძეს, გამოფენილია ქართველ ოქრომჭედელთა ნამუშევრები „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე.

გამოფენები „ქართული კულტურა“ და „ყველაფერი რუსთაველის შესახებ“ პირველ დღეს დაათვალიერა ათასობით თბილისელმა. (საქდესი).

ავტომანქანები ლატარიით

თბილისი. (საკ. კორ.). 25 სექტემბერს აქ გაიმართა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1966 წლის მეცხრე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

დიდი მოგებები ხვდათ: ავტომანქანა **„ვოლგა“** — 26775 სერიის № 225 და 26860 სერიის № 379 ბილეთებს, ავტომანქანა **„მოსკვიჩი“** — 27684 სერიის № 294, 26700 სერიის № 435, 26188 სერიის № 283 და 26084 სერიის № 499 ბილეთებს. ავტომანქანა **„ზაპოროჟეცს“** მიიღებენ 25179 სერიის № 251 და 25181 სერიის № 385 ბილეთების მფლობელები. კინინოები ხვდა 24989 სერიის № 300 და 25001 სერიის № 146 ბილეთებს.

„საქართველოს აგიტაპუნქტი“ № 18

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეთერამეტე ნომერი.

ბელნიერი ღელა

ამას წინათ კოლმეურნე მედეა ყაზაიშვილს ეყოლა სამი ბავშვი.

თერჯოლის რაიონის სოფელ სიქთარის მცხოვრებლებმა გულითადად მიულოცეს ბედნიერ დედას სამი შვილის შეძენა.

დედა და ბავშვები თავს კარგად გრძნობენ.

სურათზე: მედეა ყაზაიშვილი ახალდაბადებულ შვილებიანად.

ფოტო ლ. რიონელისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ჩვენი დიდი მგოსნის შოთა რუსთაველის საიუბილეოდ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გრამფირფიტების საკავშირო firma „მელოდიის“ თბილისის გრამჩანაწერების სტუდიამ საუკეთესო ნობათი მოუმზადა მუსიკის მოყვარულებს.

უკვე ჩაწერილია და მოსკოვში საკავშირო დათვალიერებაზეა გაგზავნილი მოხტაჟი „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ და რუსულ ენებზე, რომლის ლიტერატურული კომპოზიცია ეკუთვნის ს. სეგრებრიაკოვს.

ჩაწერილი და დამუშავებულია რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები ჩვენი ქართველი პოეტებისა. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ სტუდიის ნამუშევარი — ი. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“, რომელსაც თვით ავტორი კითხულობს.

სტუდიამ დაიწყო ჩაწერა ოთარ თაქთაქიშვილის ორატორიისა „რუსთაველის ნაკვალევზე“ (ი. აბაშიძის ტექსტის მიხედვით). ჩანაწერში მონაწილეობას იღებს საქართველოს სახელმწიფო ორკესტრი, საქართველოს კაპელა გურამ ბაქრაძის ხელმძღვანელობით (სოლისტი თ. მუშკუდიანი), დირიჟორი ზ. ხუროძე.

დ. ზურაბიშვილი.

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲩᲐ-ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ფირმა „თურქმენხალიჩის“ აშხაბადის ხალიჩის ფაბრიკის ოსტატებმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ხალიჩის მჭოველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ბაირამ ხოჯაგულდიევამ და ალი ტაგანმურადოვამ დაამთავრეს შოთა რუსთაველის ხალიჩა-პორტრეტის ქმნა.

ხალიჩის ზომა ერთი კვადრატული მეტრია. იგი მოქსოვილია მხატვარ ვ. სოსნინის ესკიზით.

დიდი ქართველი პოეტი გამოსახულია ხელნაწერზე მუშაობის დროს.

ხალიჩა-პორტრეტი საჩუქრად გადაეცემა ქართველ ხალხს თურქმენი ხალხის სახელით. (საკდესის კორ.).

აშხაბადი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ჩვენი დიდი მგოსნის შოთა რუსთაველის საიუბილეოდ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გრამფირფიტების საკავშირო firma „მელოდიის“ თბილისის გრამჩანაწერების სტუდიამ საუკეთესო ნობათი მოუმზადა მუსიკის მოყვარულებს.

უკვე ჩაწერილია და მოსკოვში საკავშირო დათვალიერებაზეა გაგზავნილი მოხტაჟი „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ და რუსულ ენებზე, რომლის ლიტერატურული კომპოზიცია ეკუთვნის ს. სეგრებრიაკოვს.

ჩაწერილი და დამუშავებულია რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები ჩვენი ქართველი პოეტებისა. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ სტუდიის ნამუშევარი — ი. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“, რომელსაც თვით ავტორი კითხულობს.

სტუდიამ დაიწყო ჩაწერა ოთარ თაქთაქიშვილის ორატორიისა „რუსთაველის ნაკვალევზე“ (ი. აბაშიძის ტექსტის მიხედვით). ჩანაწერში მონაწილეობას იღებს საქართველოს სახელმწიფო ორკესტრი, საქართველოს კაპელა გურამ ბაქრაძის ხელმძღვანელობით (სოლისტი თ. მუშკუდიანი), დირიჟორი ზ. ხუროძე.

დ. ზურაბიშვილი.

ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲕᲫᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲘᲡᲡᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲣᲠᲡᲐ,
ᲝᲓᲔᲜ ᲢᲐᲒᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲛᲮᲔᲓᲜᲘᲡ ᲕᲘᲗᲘᲛᲪᲐ ᲠᲐ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲡᲐ.

მხატვარი უ. ჯაფარიძე.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

მოსკოვი, 26 სექტემბერი. (საქდესის კორ.). დღეს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მეშვიდე პლენუმი. პლენუმმა განიხილა საბჭოთა ჟურნალისტების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის მოწყობის საკითხები, და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ყრილობა გაიხსნება 1966 წლის 28 სექტემბერს დილის 10 საათზე კრემლის თეატრში.

ამ დღეებში გაიმართა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ჟურნალისტთა ორგანიზაციების ყრილობები, სამხარეო და საოლქო კონფერენციები, რომლებზეც განხილეს ჟურნალისტთა ორგანიზაციების მუშაობა და პრესის ამოცანები XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. მოეწყო გამგეობათა და ბიუროების არჩევნები, არჩეული არიან ყრილობის დელეგატები.

ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ

„დინამო“ (თბილისი) — „პრილიპ სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:0 (1:0). თბილისის „დინამოს“ სტადიონი. 26 სექტემბერი. მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

„დინამო“ — ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჟულიძე, შერგილაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.

„პრილიპ სოვეტოვი“ — აგურეევი, მაიორროვი, სახაროვი, კაპსინი, ვალეკოვი, საველიევი, პეტროვი, ვერბოვსკი, ეუკოვი, ფედოროვი, მანშინი (კადროვი).

თბილისელთა გუშინდელი მეტოქე იმ გუნდთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებთანაც დინამოელებს ყოველთვის უჭირთ თამაში, რადგან კუიბიშეველები უპირატესობას ანიჭებენ დაცვას და ძალიან ერ ბრძოლას. ასე იყო გუშინაც. დინამოელები უტევდნენ, სტუმრები თავს იცავდნენ, შეტევაზე ეპიზოდურად გადდიოდნენ და სჯარიმო მოედნის გარეთ ცდილობდნენ კარში დარტყმას. ამ ტაქტიკას მათთვის წარმატება არ მოუტანია. დარტყმები, როგორც წესი, ან სუსტი იყო ან არაზუსტი.

მახპინძლები მთელი 90 წუთის განმავლობაში უტევდნენ. უტევდნენ განუწყვეტლივ და სახიფათოდ. მაგრამ ბურთი სცილდებოდა კარს. სტუმართა კარი ბევრჯერ გადარჩა თითქოს გარდუვალ გოლს.

რასაკვირველია, მატჩის შედეგი არ გამოხატავს ძალთა თანაფარდობას. ანგარიში უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. ახეც იქნებოდა, დინამოელთა თავდასხმელების დარტყმები უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო. მოედანზე აშკარა უპირატესობა გოლებს როდი ნიშნავს, თანაც „სპორტული ბედი“ გუშინ აშკარად სტუმრებს სწყალობდა.

ერთადერთი და გადამწყვეტი ბურთი თამაშის პირველსავე წუთზე იქნა გატანილი. მეტრეველი მარჯვენა ფლანგზე გაექცა რამდენიმე მცველს და ბურთი საჯარიმო მოედანზე ჩაგზავნა. მასთან პირველი ილია დათუნაშვილი გაჩნდა და შეუჩერებლივ გაგზავნა კარში.

დუბლიორთა მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა.

ᲤᲠᲔ ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲨᲘ

უზბეკეთის დედაქალაქში ადგილობრივმა „პახტაკორმა“ მიიღო ჭეთასის „ტორპედო“. მატჩი საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. მოწინააღმდეგეებს ჰქონდათ კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ ვერც ერთის გამოყენება ვერ შეძლეს. შედეგი — 0:0.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ბათუმში გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობა წყალბურთში. ასპარეზობის მეორე დღეს ცეხტრალურ შეხვედრას თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ მატჩი წარმოადგენდა. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:3.

ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ

ქვირას იპოდრომზე მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ისინი ინტერესით ადევნებდნენ თვალს დოლს, ჩოხოთითმავალი ცხენების რბოლას, რომლებშიც საქართველოს, რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ცხენოსნები იღებდნენ მონაწილეობას.

დოლში, 1.400, 1.600, 1.800, 2.000 მეტრ დისტანციებზე გამოდიოდნენ ახალგაჩამოყვანილი არაბული და თერგული ჯიშის ცხენები. გათამაშდა სხვადასხვა პრიზები. ცხენთა გამოცდის კულმინაცია რასაკვირველია ქართული ეროვნული თამაშობანი — ცხენბურთი და ისინი იყო. ჩოხატაურის, ცხაკაიასა და გუდაუთის გუნდებმა მაღალი ოსტატობა აჩვენეს.

სურათებზე: (ზემოთ) **ცხენბურთი, ერთმანეთს ხვდებიან ჩოხატაურისა და გუდაუთის გუნდები,** (შუაში) **დოლი 1.400 მეტრზე;** (ქვემოთ) **ისინი.**

ფოტო ვ. ზარიძისა.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

კვირას და გუშინ გაიმართა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

მოსკოვი. აქ ერთმანეთს გათამაშების ლიდერი კიევის „დინამო“ დედაქალაქის თანაკლუბელებს შეხვდა. 90 წუთიანი ორთაბრძოლა ფრედ — 0:0 დამთავრდა.

ბაქო. „ნეფტიანიკმა“ ძლიერად ჩაატარა ასპარეზობა ლენინგრადის „ზენიტის“ წინააღმდეგ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0.

ალმა-ათა. „კაირატისა“ და როსტოვის სკა-ს შეხვედრამ ვერ გამოავლინა უძლიერესი. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და ფრეს დასჯერდნენ — 1:1.

დონეცკი. „შახტიორი“ მოსკოვის „ლოკომოტივს“ ეთამაშებოდა თავის მინდორზე. დონეცკელებმა გაიმარჯვეს — 1:0. დონეცკელთა ეს მესამე გამარჯვებაა ზედიზედ.

ოდესა. ოდესის სკა მინსკის დინამოს მასპინძლობდა. აუტსაიდერმა შეძლო ჭულის მოპოვება. მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 27 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	27	18	8	1	53-12	44
„ტორპედო“ (მ.)	28	14	7	7	45-27	35
ცსკა	24	14	6	4	52-30	34
სკა (რ.)	27	15	3	9	42-38	33
„ნეფტიანიკი“	27	12	7	8	38-23	31
„პახტაკორი“	25	8	13	4	24-17	29
„სპარტაკი“	24	11	7	6	33-28	29
„დინამო“ (მნ.)	27	10	9	8	32-29	29
„დინამო“ (თბ.)	26	9	9	8	32-25	27
„კირატი“	25	10	7	8	24-24	27
„დინამო“ (მ.)	26	9	8	9	35-29	26
„შახტიორი“	26	11	4	11	26-30	26
„ზენიტი“	28	10	5	13	32-44	25
„ჩერნომორეცი“	26	6	10	10	23-30	22
„არარატი“	26	6	8	12	18-41	20
„ტორპედო“ (ქ.)	27	7	5	15	33-49	19
„აკრ. სოვეტოვი“	26	3	11	12	17-36	17
„ლოკომოტივი“	26	5	4	17	19-38	14
სკა (ო.)	27	1	9	17	12-40	11

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

Ნ. ᲙᲣᲩᲘᲜᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ

დორტმუნდში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ტანვარჯიშში. კიეველ ასპარეზობის უკანასკნელ დღეს, სადაც სმენგმა ათი ოქროს მედალი გაიმარჯვა, ბრწყინვალე შედეგს მიაღწია 17 წლის ნატალია კუჩინსკაიამ, რომელმაც სამი ოქროს მედალი მოიპოვა, იგი უძლიერესი იყო ნაირსმაღლის ორძელზე, დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში. ჩეხოსლოვაკელი ვერა ჩასლავსკამ პირველ ადგილი მხოლოდ ბჯენთ ხტომებში დაიკავა. ბრინჯაოს მედლები ხვდათ ნ. კუჩინსკაიას (ბჯენთ ხტომები) ლ. პეტრიეს (დვირი) და ზ. დრუჟინინას (თავისუფალი ვარჯიში).

ვაფთა შორის ჩვენმა სპორტსმენებმა ორი ოქროს მედალი მოიპოვეს, რეალურად უძლიერესი იყო მ. ვორონინი, რომელმაც ბ. დიომიდოვი. მ. ვორონინმა ველოსიპედის ცლის მედლები დაისაკუთრა ორძელზე და ტაიკუნზე. დანარჩენ იარაღებზე ჩემპიონები გახდნენ: ტაიკუნი — ცერარი (საბერძნეთი), თავისუფალ ვარჯიშში — ლ. ლერმზე — ნაკაიამა (იაპონია), ბჯენთ ხტომებში — მაცუდა (იაპონია).

„Ბ“ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ მეოთხე ზონაში.

„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ფენამო“ (სოხუმი) — 0:1, „ოროკი“ (ბაკოპი) — „ენგური“ (ზუგდიდი) — 2:0, „ურალანი“ (ელისტა) — „კოლხიდა“ (ფოთი) — 1:0, „ბლაზანი“ (გურჯაანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) — 2:1, „მეტალი“ (ტყიბული)-„დილა“ (გორი) — 1:0.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲗᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

დღეს, 27 სექტემბერს დღის 2 საათზე პრეს-ცენტრის შენობაში (პიონერთა სასახლე, რუსთაველის პროსპექტი 6) გაიმართება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების პრეს-კონფერენცია.

მოწვეული არიან პრეს-ცენტრში აკრედიტებული გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

პრეს-ცენტრი.

ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

1966 წლის 12 ოქტომბერს დღის 12 საათზე საქტო დარბაზში **ᲑᲘᲕᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ-ᲫᲔ ᲭᲐᲜᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ეკონომ-ურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაციის თემაზე: „ᲣᲡᲣᲚᲒᲐᲠᲘᲐᲡ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ (ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ). დასავლეთგერმანული ნეოლიბერალიზმის კრიტიკა“.

დაცვერტაციის გაკეთება შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

27 სექტემბერი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის „ცეროდენას ეკრანი“ ნახატი ფილმი „ჩხაკვთა ქორწილი“, 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის „რუსთაველმა შთაგონა“, 19.10 — კინონარკვევი, 19.30 — კინორეპორტაჟი — „შოთას სახე მყინვარწვერზე“, 19.45 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ხმელი წიფელი“, 20.00 — დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (ტრანსლაცია თბილისის კვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან), 21.20 — კინონარკვევი, 21.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — მაძიებლები (გადაცემა მოსკოვიდან), 23.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე).

28 სექტემბერი

11.00 — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესია, მაძღვნელი რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი (ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, 19.10 — გადაცემა „ლოპოტის მარმარილო“, 19.25 — კინონარკვევი „სვეტიცხოველი“, 19.45 — სატელევიზიო ჟურნალი „ახალგაზრდობა“, 20.45 — გერმანული მხატვრული ფილმი „ქალაქშიელი ჯენგლიდან“ (პირველი სერია), 22.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი, 23.05 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე).

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

27 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ვეფხისტყაოსანი (პრემიერა), მარჯანიშვილის **სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტი (დასაწყისი საღ. 7 ს. და 30 წ.), **ფილარმონიის საზაფხულო** — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის **სახელმწიფო** დამსახურებული ანსამბლის კონცერტი (დასაწყისი საღ. 8 ს.).

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.